

❧ ცუდი დასაწყისი ❧



უიღბლო ამბების სერია

გეგმონი სნიყეცი



გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

❁ ԵՆԴՈՒՄՆԵՐ ❁

օսչո ճոճչղոտ.....	7
օսչո ժոճոճ.....	15
օսչո ժոճոճ.....	28
օսչո ժոճոճ.....	40
օսչո ժոճոճ.....	53
օսչո ժոճոճ.....	65
օսչո ժոճոճ.....	75
օսչո ժոճոճ.....	84
օսչո ժոճոճ.....	92
օսչո ժոճոճ.....	100
օսչո ժոճոճ.....	109
օսչո ժոճոճ.....	118
օսչո ժոճոճ.....	129



თავი ზეშვილი

თუ ისეთი ამბები გიყვართ, კეთილად რომ მთავრდება, აჯობებს, სხვა წიგნი წაიკითხოთ. აქ არც დასაწყისია კეთილი, არც დასასრული და შუაშიც ცოტაოდენ სიკეთეს იპოვით. საქმე ისაა, რომ სამ პატარა ბოდლერს ბედი ნაკლებად სწყალობს. ვიოლეტი, კლაუსი და სანი ბოდლერები ჭკვიანი, მომხიბვლელი და მოხერხებული ბავშვები არიან. სასიამოვნო სახის ნაკვთებიც აქვთ. მაგრამ ამავე დროს თან სდევთ უსაზღვრო უიღბლობა. თითქმის ყველაფერი, რაც თავს გადახდათ, უბედობით, ტანჯვითა და სასონარკვეთითაა სავსე. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ ნამდვილად ასეა.

მათი უბედურება მარილიან პლაჟზე დაიწყო. სამი პატარა ბოდლერი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა უზარმაზარ სახლში, რომელიც ბინძური და ხმაურიანი ქალაქის შუაგულში იდგა. ხანდახან მშობლები ნებას რთავდნენ, რომ ფამფალა ურიკით (ალბათ იცით, რომ სიტყვა „ფამფალა“ ამ შემთხვევაში

„თითქმის დაშლილს“ ნიშნავს) ზღვის სანაპიროზე წასულიყვნენ, სადაც ისინი ერთგვარ განტვირთვის დღეებს იწყობდნენ ხოლმე იმ პირობით, რომ სადილისთვის შინ დაბრუნდებოდნენ.

იმ დილას ცა ნაცრისფერი და მოღრუბლული იყო, მაგრამ პატარა ბოდღერებს ეს სულაც არ ანადვლებდათ, პირიქით, უხაროდათ კიდეც, რადგან ცხელ და მზიან ამინდებში მარილიანი პლაჟი ტურისტებით იყო სავსე და პლედის გასაშლელად ადგილის პოვნა შეუძლებელი ხდებოდა. ნაცრისფერ და ღრუბლიან დღეებში კი მთელი პლაჟი ბოდღერებს რჩებოდათ და შეეძლოთ ის ეკეთებინათ, რაც სურდათ.

უფროს ბოდღერს, ვიოლეტს, ქვების ტყორცნა უყვარდა. როგორც თოთხმეტი წლის გოგონების უმრავლესობა, ისიც მარჯვენა ხელს უფრო მარჯვედ ხმარობდა. როდესაც მარჯვენა ხელით ისროდა, ჩამუქებული წყლის ზედაპირზე ქვას უფრო შორს გატყორცნიდა ხოლმე. ქვების ტყორცნისას თან ჰორიზონტს გაჰყურებდა და ფიქრობდა, როგორ უნდა აეგო თავისი გამოგონილი მონყობილობა. ვინც ვიოლეტს კარგად იცნობდა, უმალ მიხვდებოდა, რომ გოგონა ღრმად იყო ჩაფიქრებული – გრძელი თმა უკან გადაენია და ბაფთით შეეკრა. ვიოლეტს მეტად ემარჯვებოდა უცნაური მონყობილობების გამოგონება და აგება, შესაბამისად, გონებაში სულ

ბორბლები, ბერკეტები და კბილანები უტრიალებდა და სულაც არ უნდოდა, ფიქრში ხელი ისეთ უმნიშვნელო რამეს შეეშალა, როგორც მისი თმა იყო. იმ დილას იგი ისეთი მოწყობილობის აგებაზე ფიქრობდა, რომელიც ოკეანეში გატყორცნილ ქვას უკან ამოიღებდა.

კლაუსს, შუათანა ბოდლერს, წყალში მოცურავე არსებებზე დაკვირვება უყვარდა. კლაუსი თორმეტი წლისა იყო და სათვალე ეკეთა, რაც ჭკვიანურ გამომეტყველებას ანიჭებდა. იყო კიდევც ჭკვიანი. ბოდლერების მშობლებს სახლში უზარმაზარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ – ათასნაირი ჟანრის წიგნებით სავსე ოთახი. რადგან კლაუსი მხოლოდ თორმეტი წლისა იყო, რა თქმა უნდა, ბოდლერების ბიბლიოთეკის ყველა წიგნი არ ჰქონდა ნაკითხული, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ნაეკითხა და ნაკითხულიდან ინფორმაციაც მიეღო. იცოდა, როგორ უნდა გაერჩია ალიგატორი ნიანგისგან; ვინ მოკლა იულიუს კეისარი; მარილიანი პლაჟის იმ პატარა, სრიალა ცხოველებზეც ბევრი რამ იცოდა, რომლებსაც ახლა აკვირდებოდა.

ნაბოლარა სანი ბოდლერს კი სხვადასხვა ნივთის პირში ჩადება და კბენა უყვარდა. ეს ბავშვი თავისი ასაკისთვის მეტისმეტად პატარა ტანისა იყო – ჩექმაზე სულ ოდნავ დიდი. სამაგიეროდ, კბილები

ჰქონდა ბასრი. პატარა სანი ჯერ გამართულად ვერ ლაპარაკობდა, მხოლოდ გაურკვეველ ბგერებს ლულ-ლულეობდა, მისი მწირი ლექსიკონი სულ რამდენიმე სიტყვისგან შედგებოდა, მაგალითად: „ბოთლი“, „დედიკო“ და „კბენა“... – მის გარშემომყოფებს სანის სიტყვების გაგება ძალიან უჭირდათ. მაგალითად, იმ დილას იგი განუწყვეტლივ იმეორებდა ერთ სიტყვას – „ხეი!“, რაც, სავარაუდოდ, შემდეგ რამეს ნიშნავდა: „შეხედეთ იმ იდუმალ ფიგურას, ნისლიდან რომ მოემართება!“

მართლაც, ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე, ბურუსში მაღალი გამოსახულება მოჩანდა, რომელიც პატარა ბოდლერებისკენ მოემართებოდა. სანი მას უყურებდა და ჭყიოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი გამოსახულება კლაუსმაც დაინახა, რომელმაც ერთი წამით მოსწყვიტა თვალი ეკლიან კიბორჩხალას, მანამდე რომ აკვირდებოდა. ბიჭმა ვიოლეტს მკლავზე ხელი წაავლო და გამომგონებლური ფიქრებისგან გამოარკვია.

– შეხედე, – თქვა კლაუსმა და ფიგურისკენ მიუთითა. ის თანდათან უახლოვდებოდათ და ბავშვებს ახლა დეტალების გარჩევაც შეეძლოთ. იგი მოზრდილი ადამიანის სიმაღლისა იყო, თუმცა მეტისმეტად დიდი და ოთხკუთხა თავი ჰქონდა.

– როგორ გგონია, რა არსებობს? – იკითხა ვიოლეტმა.

– არ ვიცი, – კლაუსმა თვალები მოჭყუტა, რომ გამოსახულება უკეთ დაენახა, – როგორც ჩანს, ჩვენ-კენ მოდის.

– ამ პლაჟზე მხოლოდ ჩვენ ვართ, – შეშფოთებით თქვა ვიოლეტმა, – ესე იგი ჩვენკენ მოდის.

გოგონამ ის ბრტყელი და გლუვი ქვა მოსინჯა, რომელიც მარცხენა ხელში ეჭირა და წუთის წინ ზღვაში გატყორცნას უპირებდა. უცებ მოუნდა, რომ ქვა ამ საზარელი გამოსახულებისთვის ესროლა.

– უბრალოდ, ნისლი აჩენს საშიშად, – თქვა კლაუსმა, თითქოს დის ფიქრები წაიკითხაო.

მართლაც ასე იყო. როდესაც გამოსახულება სულ ახლოს მივიდა, ბავშვებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან ბატონი პო იცნეს. ბატონი პო ქალბატონი და ბატონი ბოდლერების მეგობარი იყო, რომელსაც ბავშვები წვეულებაზე არაერთხელ შეხვედროდნენ. ვიოლეტს, კლაუსსა და სანის ძალიან მოსწონდათ თავიანთი მშობლების ის ჩვეულება, რომ სტუმრიანობისას ბავშვებს თავიდან არ იშორებდნენ. ნებას რთავდნენ, რომ სტუმრებთან ერთად დამსხდარიყვნენ სასადილო მაგიდასთან და საუბარშიც მონაწილეობა მიეღოთ, ოღონდ იმ პირობით, თუ შემდეგ უფროსებს სუფრის ალაგებაში მიეხმარებოდნენ. ბავშვებს ბატონი პო კარგად ახსოვდათ, რადგან ის მუდამ გაცივიებული იყო, ხშირად ტოვებდა ხოლმე სუფრას, როცა

ხველების შეტევა ემართებოდა და გვერდითა ოთახში გადიოდა.

ბატონმა პომ ცილინდრი მოიხადა, – სწორედ ის უჩინდა დიდ და ოთხკუთხა თავს, – ნუთით ასე იდგა, პირზე თეთრი ცხვირსახოცი მიეფარებინა და ხმამალ-ლა ახველებდა. ვიოლეტმა და კლაუსმა მისკენ გაინი-ეს, რათა ხელი ჩამოერთმიათ და მოეკითხათ.

– როგორ ბრძანდებით? – ჰკითხა ვიოლეტმა.

– როგორ ბრძანდებით? – ჰკითხა კლაუსმაც.

– ოგო ბა! – თქვა სანიმ.

– გმადლობთ, კარგად, – თქვა ბატონმა პომ, თუმ-ცა ძალიან სევდიანი ჩანდა. რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვებს ვერ გაეგოთ, რისთვის მოვიდა ბატონი პო მარილიან პლაჟზე, როცა ამ დროს ბანკში უნდა ყოფილიყო, სადაც მსახურობდა. თან პლაჟის-ვის შესაფერისად არ ეცვა.

– სასიამოვნო დღეა, – თქვა ბოლოს ვიოლეტმა, რათა საუბარი წამოეწყო.

სანიმ ისეთი ხმა გამოსცა, გაბრაზებულ ჩიტს მოგაგონებდათ. კლაუსმა იგი ხელში აიყვანა.

– დიახ, სასიამოვნო დღეა, – ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ბატონმა პომ, თან ცარიელ პლაჟს გას-ცქეროდა, – ბავშვებო, ვშიშობ, თქვენთვის ძალიან ცუდი ამბავი მაქვს.

სამივე პატარა ბოდღერი მას შეაცქერდა. ოდნავ

დარცხვენილმა ვიოლეტმა მარცხენა ხელში ქვა ისევ მოსინჯა და სიხარული იგრძნო, რომ ბატონი პოსტვის არ უსროლია.

– თქვენი მშობლები საშინელ ხანძარს ემსხვერპლნენ, – თქვა ბატონმა პომ.

ბავშვებს არაფერი უთქვამთ.

– დაილუპნენ ცეცხლში, რომელმაც მთელი სახლი გაანადგურა, – განაგრძო ბატონმა პომ, – ძალიან, ძალიან ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, ჩემო ძვირფასებო.

ვიოლეტმა ბატონ პოს თვალი მოსწყვიტა და ოკეანეს გახედა. ბატონ პოს მათთვის „ძვირფასები“ ადრე არასდროს უწოდებია. გოგონამ გარკვევით გაიგონა მისი სიტყვები, მაგრამ ფიქრობდა, ნამდვილად ხუმრობს, მე და ჩემს და-ძმას საშინელ ოინს გვინყობსო.

– „დალუპვა“ სიკვდილს ნიშნავს, – თქვა ბატონმა პომ.

– მშვენივრად ვიცით, რასაც ნიშნავს „დალუპვა“, – მიუგო კლაუსმა ბრაზით.

მან მართლაც იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „დალუპვა“, მაგრამ ჯერაც ვერ გაეგო, რის თქმას ცდილობდა ბატონი პო, თითქოს იგი ბოლომდე ვერ გადმოსცემდა სათქმელს.

– სახანძრო, რა თქმა უნდა, მოვიდა, – განაგრძობდა ბატონი პო, – მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო.

მთელი სახლი ცეცხლის ალში გახვეული დახვდათ. ბოლომდე დაინვა.

კლაუსმა ბიბლიოთეკაში აალებული წიგნები წარმოიდგინა. ახლა კი ველარასდროს წაიკითხავდა მათ.

ბატონმა პომ პირზე ცხვირსახოცი მიიფარა, რამდენჯერმე ჩაახველა და შემდეგ განაგრძო:

– თქვენთან მე გამომგზავნეს. სანამ რამეს მოვიფიქრებთ, ჩემს სახლში იცხოვრებთ. მე თქვენი მშობლების ანდერძის აღმსრულებელი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უზარმაზარ ქონებას მოვუვლი და გადავწყვეტ, თქვენ სად იცხოვრებთ. როდესაც ვიოლეტი სრულწლოვანი გახდება, ქონება თქვენ გადმოგეცემათ. მანამდე კი მას ბანკი განაგებს.

ბატონმა პომ რომ თქვა, აღმსრულებელი ვარო, ვიოლეტს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ეს კაცი ანდერძის კი არა, მათი საბედისწერო განაჩენის აღმსრულებელი იყო. მან, უბრალოდ, პლაჟზე მიაკითხა ბავშვებს და მათი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა.

– გამომყევით, – თქვა ბატონმა პომ და ხელი გაიწოდა. მისთვის ხელის ჩასაჭიდებლად ვიოლეტს თავისი ქვის დაგდება მოუწია. მეორე ხელზე ვიოლეტს კლაუსი ჩაეჭიდა, მას კი – სანი. ასე და ამგვარად გაიყვანეს პატარა ბოდლერები, ამიერიდან პატარა ობლები, პლაჟიდან და მათი ლალი ცხოვრებაც აქ დამთავრდა.

თავი ქოჩი

აზრი არა აქვს, აღვინეროთ, თუ რა საშინლად გრძნობდნენ თავს ვიოლეტი, კლაუსი და სანი. თუ როდისმე ძვირფასი ადამიანი დაგიკარგავთ, ეს გრძნობა თქვენთვის ნაცნობი იქნება, თუ არა და – მაშინ ვერც წარმოიდგენთ. მაგრამ პატარა ბოდლერების შემთხვევა განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან ორივე მშობელი ერთდროულად დაკარგეს. ისეთი დათრგუნულები იყვნენ, რამდენიმე დღე საწოლიდან არ ამდგარან. კლაუსს წიგნები საერთოდ აღარ აინტერესებდა. ვიოლეტს გამომგონებლურ გონებაში კბილანე-



ბი აღარ უტრიალებდა. სანისაც კი, რომელიც ძალიან პატარა იყო იმისთვის, რათა სრულად გაეაზრებინა მომხდარი, კბენის ხალისი თითქმის დაჰკარგოდა.

ვითარებას უფრო ამძიმებდა ის, რომ ბოდლერებმა მშობლებთან ერთად სახლიცა და ნივთებიც დაკარგეს. ალბათ ხვდებით, საკუთარ სახლში რომ ყოფილიყვნენ, საკუთარ ოთახში დაეძინათ, ოდნავ მაინც შეუმსუბუქდებოდათ მდგომარეობა, მაგრამ პატარა ობლების სანოლები ცეცხლს ერთიანად დაენახშირებინა. ბატონმა პომ ბავშვები თავიანთ ნასახლარში წაიყვანა, რათა ენახათ, რამე ხომ არ გადარჩა. იქ მისულებს საშინელი სანახაობა დახვდათ: ვიოლეტის მიკროსკოპი ცეცხლს მთლად დაედნო, კლაუსის საყვარელი კალამი დანახშირებულიყო, სანის საკბენი სათამაშოებიც დამდნარიყო. ბავშვებმა მათი უზარმაზარი საცხოვრებელიდან ძლივს გაარჩიეს აქა-იქ მიმოფანტული ნივთების ნარჩენები: როიალის ნანილები, ორიგინალური ბოთლი, რომელშიც ბატონი ბოდლერის ბრენდი ესხა, და პატარა ბალიში, რომელიც ერთ დროს ფანჯარასთან იყო მოთავსებული. მასზე ქალბატონი ბოდლერი მიაყრდნობდა ხოლმე თავს და წიგნს კითხულობდა.

რადგან მათი სახლი განადგურდა, პატარა ბოდლერებს თავიანთ დანაკარგზე დარდი ბატონი პოსოჯახში უწევდათ. ეს არც ისე სასიამოვნო აღმოჩნ-

და. ბატონი პო ბოდლერების საქმეების მოგვარებით იყო დაკავებული და შინ იშვიათად რჩებოდა, ხოლო როდესაც მოდიოდა, იმდენს ახველებდა, რომ მასთან დალაპარაკება შეუძლებელი ხდებოდა. ქალბატონმა პომ ობლებს საძაგელი ფერისა და ქსოვილის ტანი-სამოსი უყიდა, რომლის ჩაცმის შემდეგ ბავშვებს მთელი ტანი ექავეებოდათ. გარდა ამისა, ბოდლერები მოცუცქნულ ოთახში ცხოვრობდნენ პოების ორ შვილთან, ედგარსა და ალბერტთან ერთად. ისინი ძალიან ხმაურიანი და აუტანელი ბიჭები იყვნენ. ოთახში კი რომელიღაც მყრალი მცენარის სუნი იდგა.

მიუხედავად ამგვარი პირობებისა, ბავშვებს მაინც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლათ, როდესაც ერთ დღეს, სადილობისას, მოხარული ქათმით, კარტოფილითა და მწვანე ლობიოთი განყობილ მაგიდასთან მსხდომებს ბატონმა პომ განუცხადა, ჩემს სახლს ხვალ დილით დატოვებთო.

– მშვენიერია, – თქვა ალბერტმა, რომელსაც კბილებში კარტოფილი გასჩხეროდა, – ოთახი ისევ ჩვენი იქნება. უკვე მომბეზრდა ვიოლეტსა და კლაუსთან ცხოვრება, სულ სახე ჩამოსტირით და გართობისა არაფერი გაეგებათ.

– პატარა კი სულ იკბინება, – დაამატა ედგარმა და ქათმის ძვალი ძირს ისე მოისროლა, თითქოს ზოო-